ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს
საქმეთა მმართველობის გამოცემა

1931 წ. ივლისის 5. № 12 ნაწილი პირველი

შინაარსი

სახელმწიფო წყობილება და მმართველობა

130. სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების სოციალურ-კულტურული განყოფილებების გაუქმების შესახებ.

131. „სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების სტრუქტურისა, შტატებისა და მომუშავეთა სამუშაო ხელფასის განაკვეთების თაობაზე“ გამოცემული დადგენილების 1-ლი დანართის დამატების შესახებ.

132. მუსლიმანთა „მაჰერამ“-ის თვის დღეებში რელიგიური ხასიათის მსვლელობისა, დემონსტრაციისა და სარწმუნოებრივი წესების საჯაროდ აღსრულების აკრძალვის შესახებ.

მიწა, ტყე, წყალი, სოფლის მეურნეობა

133. მიწების ჩამორთმევის დროს ზარალისა და გამოუყენებელი დანახარჯის ანაზღაურების წესის შესახებ.

134. საოფლო საბჭოებისათვის უფლების მინიჭების შესახებ, რათა მათ ადმინისტრატიული წესით დაადონ გადასახდელი კულაკურ და შეძლებულ მეურნეობათა მფლობელთ, უკეთუ ისინი არ შეასრულებენ მტკიცე დავალებებს ან ან დავალებათა შესრულებას თავს აარიდებენ.

135. თუთის ნარგავთა განადგურების წინააღმდეგ ბრძოლისა და ამ ნარგავთა მოვლა-გამოყენების ღონისძიებათა შესახებ.

136. გლეხთა სახლების მუშაობის გაუმჯობესებისათვის და პირდაპირი დანიშნულებისამებრ გამოყენებისათვის პრაქტიკულ ღონისძიებათა შესახებ.

ვაჭრობა. მომარაგება

137. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული საზოგადოებრივი კვების დამხმარე საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ.

დებულება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული საზოგადოებრივი კვების დამხმარე საბჭოს შესახებ.

კომუნალური და საბინაო მეურნეობა

138. ტფილისის ელექტრო-რკინის გზით შეღავათიანი მიმოსვლის თაობაზე გამოცემულ დადგენილებათა გაუქმების შესახებ.

139. საქართველოს სსრ-ში მუშათა საბინაო მშენებლობის შესახებ.

140. „ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში საცხოვრებელი სადგომების ქირის თაობაზე“ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების დამატების შესახებ.

ფინანსები

141. სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფი დაწესებულებების სპეციალურ სახსართა შესახებ.

142. სამეთევზეო გამოსაღებისა და თევზის ჭერის რეწაობის უფლების საბილეთო გამოსაღების განაკვეთების მონაკლებთა დაწესების შესახებ.

შ რ ო მ ა

143. დაწინაურებულთა მუშაობის პირობების გაუმჯობესების შესახებ.

144. კალიასთან საბრძოლველად სასყიდლიანი საშრომო და საჭაპანზიდვო ბეგარის შემოღების შესახებ.

სოციალურ-კულტურული წყობილება

145. სწავლის ფულის გაუქმების შესახებ.

146. მარქსიზმისა და ლენინიზმის ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ.

დებულება სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული მარქსიზმისა და ლენინიზმის ინსტიტუტის შესახებ.

147. თესვისა და მოსავლის აკრეფის დროს მედპერსონალის ჭალაქებიდან საბჭოთა მეურნეობებისა, სამანქანო სადგურებისა და კოლმეურნეობების რაიონებში დროებით გაგზავნის შესახებ.

სასამართლო წყობილება და სამართლის წარმოება

148. ახალ ადმინისტრატიულ-ტერიტორიალურ დარაიონებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სახელმწიფო პროკურატურის დებუდების შეცვლის შესახებ.

სახელმწიფო წყობილება და მმართველობა

130. დადგენილება ც.ა.კ.

სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების სოციალურ-კულტურული განყოფილებების გაუქმების შესახებ.

„სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების სოციალურ-კულტურული განყოფილებების გაუქმების შესახებ“ გამოცემული ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1931 წ. აპრილის 12-ის დადგენილების შესაბამისად („ზარია ვოსტოკა“-ს 1931 წ. 110 №-ი) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი, თავისი, 1930 წ. სექტემბრის 19-ის, დადგენილებით დამტკიცებული სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების სტრუქტურისა, შტატებისა და მომუშავეთა სამუშაო ხელფასის განაკვეთების შესაცვლელად (საქ. სსრ კან. კრ. 1930 წ. მე-19 №-ი, მუხ. 289 და 23 №-ი, მუხ. 33). ადგენს:

სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების სოციალურ-კულტურული განყოფილებები გაუქმებულ იქნეს და სახალხო განათლების და სოციალური აღზრდისა, აგრეთვე ჯანმრთელობის ინსპექტორების თანამდებობანი უშუალოდ დაექვემდებაროს სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების პრეზიდიუმებს.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **ს. თოდრია.**

1931 წ. მაისის 17.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 121 №-ში 1931 წ. მაისის 28.

---

131. დადგენილება ც.ა.კ.

„სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების სტრუქტურისა, შტატებისა და მომუშავეთა სამუშაო ხელფასის განაკვეთების თაობაზე“ გამოცემული დადგენილების 1-ლი დანართის დამატების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

„სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების სტრუქტურისა, შტატებისა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომუშავეთა სამუშაო ხელფასის განაკვეთების შესახებ“ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1930 წ. სექტემბრის 19-ის დადგენილების 1-ლ დანართს (საქ. სსრ კან. კრ. 1930 წ. მე-19 №-ი, მუხ. 289) დაემატოს მე-4 შენიშვნა შემდეგი შინაარსისა:

„**შენიშვნა** 4. შრომის სახალხო კომისარიატს უფლება აქვს, ცალკეულ შემთხვევაში, ადგილობრივი პირობების მიხედვით, დააკისროს სარაიონო დამზღვევი ბიუროს მოვალეობის აღსრულება შრომის სარაიონო ინსპექტორს და ასეთ შემთხვევაში მოიწვიოს შრომის ინსპექტორის დამხმარედ ტეხნიკური თანამშრომელი სოციალური დაზღვევის სახსარით“.

სრ საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი **ს. თოდრია.**

1931 წ. მაისის 17.
ტფილისი.
გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 121 №-ში 1931 წ. მაისის 28.

132. დადგენილება ც.ა.კ.

მუსლიმანთა „მაჰერამ“-ის თვის დღეებში რელიგიური ხასიათის მსვლელობისა, დემონსტრაციისა და სარწმუნოებრივი წესების საჯაროდ აღსრულების აკრძალვის შესახებ.

მუსლიმანთა „მაჰერამ“-ის თვის დღეებში საზოგადოებრივი წესიერების დარღვევის თავიდან ასაცილებლად, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. აკრძალულ იქნეს მუსლიმანთა „მაჰრემ“-ის თვის დღეებში ყოველგვარი რელიგიური ხასიათის მსვლელობა, დემონსტრაცია და, საერთოდ, ამა თუ იმ წესის საჯარო აღსრულება (სარწმუნოებრივი ცერემონია, „შახსეი-ვახსეიჰ“ და სხვ.) სამლოცველო სახლების (მეჩეთის) გარეშე.

2. აკრძალულ იქნეს ისეთი წესის შესრულება, რაც თვითწვალებასა და გვემას იწვევს, როგორიც არის: თავის დასერვა, ჯაჭვით ცემა და სხვ.

3. ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე პასუხს აგებს ადმინისტრატიული წესით—მას გადასახდელად დაედება იძულებითი მუშაობა ვადით ერთ თვემდე ან ფულადი ჯარიმა ას მანეთამდე; ამ გადასახდელს გადასწყვეტენ აღმასრულებელი კომიტეტების საადმინისტრაციო განყოფილებების უფროსნი ან მილიციის უფროსნი „სავალდებულო დადგენილებათა გამოცემისა და ამ დადგენილებათა დარღვევისათვის ადმინისტრატიული გადასახდელის დადების“ დებულების წესისამებრ, უკეთუ დამნაშავის მიერ ჩადენილი ქმედობა არ იწვევს პასუხისმგებლობას სისხლის სამართლის წესით.

4. მეთვალყურეობა ამა დადგენილების განცხორციელებისათვის დაეკისროს: ქალაქად და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში მილიციის ორგანოებს, ხოლო სოფლად—სასოფლო საბჭოებს.

5. დადგენილება ესე სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს ტელეგრაფით.

სრ. საქ. ც. ა. კ.-ის თავმჯდომარის მაგ. **პ. მელაძე.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **ს. თოდრია.**

1931 წ. მაისის 4.
ტფილისი.
გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 119 №-ში 1931 წ. მაისის 21.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიწა, ტყე, წყალი. სოფლის მეურნეობა

133. დადგენილება ს.ა.კ. და ს.კ.ს.

მიწების ჩამორთმევის დროს ზარალისა და გამოუყენებელი დანახარჯის ანაზღაურების წესის შესახებ.

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1928 წ. დეკემბრის 15-ის დადგენილებით (სსრკ-ის კან. კრ. 1928 წ. 69 №-ი, მუხ. 641 და 642) დამტკიცებული მიწათსარგებლობისა და მიწათმოწყობის ზოგადი საფუძვლების მე-13 მუხლის „ა“ პუნქტის თანახმად, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. სახელმწიფო და საზოგადოებრივი საჭიროებისათვის მიწის ჩამორთმევის დროს და აგრეთვე მიწათმოწყობისა, მიწების გადანაწილებისა, გადასახლებისა და განსახლების დროს შრომის მიწათმოსარგებლეს (კოლმეურნეობას, ღარიბ და საშუალო ინდივიდუალურ მეურნეობას) აენაზღაურება მიწის ჩამორთმევის ფაქტით მიყენებული ზარალი და მიწის ნაკვეთზე დახარჯული გამოუყენებელი შრომა და მატერიალური სახსარი იმ ფარგლებში და იმ წესით, რაც გათვალისწინებულია ამ დადგენილების ქვემომდევნო მუხლებში.

2. ზარალისა და დახარჯული გამოუყენებელი შრომისა და მატერიალური სახსარის ანაზღაურება, აგრეთვე ზარალის და გამოუყენებელი დანახარჯის გამორკვევისა და შეფასების ხარჯის ანაზღაურება დაეკისრება იმ მიწათმოსარგებლეს, რომელზედაც ჩამორთმეული მიწის ნაკვეთი გადადის.

3. ანაზღაურებულ უნდა იქნეს შემდეგი ზარალი და დანახარჯი: ა) იმ შენობისა და ნაგებობის ღირებულება, რაც მიწას არ აეცლება ან რაც მიწაზე დარჩება წინანდელი მიწათმოსარგებლის ახალ მიწათმოსარგებლესთან შეთანხმებით; ბ) შენობისა და ნაგებობის გადატანისა და ახალ ადგილას აგების ღირებულება; გ) ნარგავისა და ნათესის ღირებულება; დ) გამოუყენებელი ხარჯი, რაც გაწეულ იქნა მიწის დამუშავებისა, გაპატივებისა, მოწყალვისა და დაშრობისათვის და სხვ.—ამ ხარჯის ნამდვილი სარგებლიანობის ფარგლებში; ე) ყველა ხარჯი, რაც დაკავშირებულია მუშაობისა და სათანადო ღონისძიებების შესრულებასთან მეურნეობის გადაკეთებისათვის ჩამორთმევის შემდეგ დარჩენილ მიწის ნაწილზე ან მეურნეობის თავდაპირველად მოწყობისათვის ახალ ადგილას.

4. იმ მიზნით, რათა თავიდან იქნეს აცილებული მიწის ჩამორმევით ზარალის მიყენება ან ეს ზარალი შემცირებულ იქნეს, ახალ მიწათმოსარგებლეს შეიძლება დაეკისროს დამატებითი ვალდებულება წინანდელი მიწათმოსარგებლის სასარგებლოდ; ასეთი ვალდებულებაა: ა) ხიდებისა, გადასასვლელებისა, გზებისა, რაგვისა და სხვ. მოწყობა და შენახვა; ბ) წინანდელი მოსარგებლის მიშვება მონაწილეობისათვის, ამა თუ იმ სახით, ჩამორთმეული ნაკვეთის ან ქონების სარგებლობაში.

5. იმ ზარალისა და დანახარჯის რაოდენობას, რაც ამა დადგენილების მე-3 მუხლის თანახმად ანაზღაურებულ უნდა იქნეს, და აგრეთვე იმ ვალდებუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებებს, რაც მე-4 მუხლის წესისამებრ შეიძლება ახალ მიწათმოსარგებლეს დაეკისროს, განსაზღვრავს, დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით, შემფასებელი კომისია, რომლის შედგენილობაშიაც შედიან სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის წარმომადგენელი (თავმჯდომარე,), მიწათმომწყობი და სარაიონო საფინანსო განყოფილების წარმომადგენელი.

6. ანაზღაურების რაოდენობის გამოსარკვევად შენობის, ნაგებობის, ნარგავის, ნათესის და აგრეთვე გაწეული გამოუყენებელი შრომისა და ჩამორთმეული მიწის გაუმჯობესების შეფასება მოხდება შეფასების მომენტში არსებული ფასების მიხედვით.

7. ზარალისა და დანახარჯის გამორკვევის წესი და აგრეთვე შემფასებელი კომისიის მიერ ამ ზარალისა და დანახარჯის შეფასების წესი განისაზღვრება ინსტრუქციით, რასაც გამოსცემს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან ერთად.

8. შემფასებელი კომისიის დადგენილება გამოუყენებელი დანახარჯის ანაზღაურების შესახებ საქმის მთელ წარმოებასთან ერთად წარედგინება დასამტკიცებლად სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს.

დაინტერესებულ პირთა დავა ანაზღაურების რაოდენობის განსაზღვრის გამო გადაწყდება მიწის კოდექსის 161 მუხლის წესისამებრ (კან. კრ. 1930 წ. 24 №-ი, მუხ. 334).

9. დადგენილება ესე ვრცელდება საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მთელს ტერიტორიაზე მის შედგენილობაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკებითა და ოლქითურთ.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ლ. სუხიშვილი.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **ს. თოდრია.**

1931 წ. მაისის 13.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 117 №-ში 1931 წ. მაისის 23.

---

134. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

სასოფლო საბჭოებისათვის უფლების მინიჭების შესახებ, რათა მათ ადმინისტრატიული წესით დაადონ გადასახდელი კულაკურ და შეძლებულ მეურნეობათა მფლობელთ, უკეთუ ისინი არ შეასრულებენ მტკიცე დავალებებს ან ამ დავალებათა შესრულებას თავს აარიდებენ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. უფლება მიეცეს სასოფლო საბჭოებს დაადონ ხოლმე ადმინისტრატიული წესით გადასახდელი კულაკურ და შეძლებულ მეურნეობათა მფლობელთ, რომელნიც არ შეასრულებენ მტკიცე დავალებებს თესვისა და პროდუქციის ჩაბარების საქმეში ან თავს აარიდებენ ამ დავალებების შესრულებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. ამა დადგენილების 1-ლი მუხლის თანახმად დასადები გადასახდელის რაოდენობას განსაზღვრავს სასოფლო საბჭო შეუსრულებელი დავალების ათჯერადი ღირებულების ფარგლებში; ამასთანავე სასოფლო საბჭოს უფლება აქვს, უკეთუ საჭირო იქნება, გაყიდოს დაჯარიმებული პირის ქონება საჯარო ვაჭრობით.

3. სასოფლო საბჭოს დადგენილება გადასახდელის დადების შესახებ ძალაში შედის სათანადო სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ დამტკიცების შემდეგ.

4. ამა დადგენილების წესით გადახდევინებული ჯარიმის თანხა და აგრეთვე ქონების საჯარო ვაჭრობით გაყიდვისაგან (მუხ. 2) მიღებული თანხა მიიქცევა: 25%—სოფლის ღარიბთა და მოჯამაგირეთა კოოპერირებისა და კოლექტივიზაციის ფონდში სათანადო ადგილას, ხოლო დანარჩენი 75% ჩაირიცხება სსრ კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატის სპეციალურ სახელდახელო ანგარიშზე სახელმწიფო ბანკში და მოხმარებულ იქნება საერთო საკავშირო კანონით განსაზღვრული დანიშნულებისამებრ.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ლ. სუხიშვილი.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **ს. თოდრია.**

1931 წ. მაისის 13.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 114 №-ში 1931 წ. მაისის 20.

---

135. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

თუთის ნარგავთა განადგურების წინააღმდეგ ბრძოლისა და ამ ნარგავთა მოვლა-გამოყენების ღონისძიებათა შესახებ.

მეაბრეშუმეობის ნედლეული ბაზისის უზრუნველსაყოფად და განსავითარებლად სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. აიკრძალოს მთლად საქართველოს სსრ ტერიტორიაზე თუთის ხეების მოჭრა, გარდა ხანგადასული და ფესვდამპალი ხეებისა, ხოლო თუთის ხეების დაბელვა გაჯეილების მიზნით და ტოტების გასხეპა შეიძლება მარტოოდენ მაისის 1-დან ივლისის 1-მდე.

შენიშვნა. ცალკეულ შემთხვევაში თუთის ხეების მოჭრა შეიძლება ნებადართულ იქნეს სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტებისა და სასოფლო და საქალაქო საბჭოების მიერ კუთვნილებისამებრ.

2. თუთის ნარგავთა პატრონთ დაევალებათ მათი როგორც მოვლა (ნიადაგის შემობარვა შემოდგომაზე და ადრეულ გაზაფხულზე), ისე ხეების წესიერი დაბელვა და ტოტების გასხეპა, აგრეთვე საკვები ფონდის დანიშნულებისამებრ გამოყენება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. უკეთუ თუთის ნარგავთა პატრონები არ გამოიყენებენ ამ ნარგავების საკვებ ფონდს აბრეშუმის ჭიის გამოსაკვებად საკუთარ მეურნეობებში ან არ გაჰყიდიან მას ამავე მიზნით იქ, სადაც ამის მოთხოვნილებაა, სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და საქალაქო საბჭოებს—ქალაქ ადგილას და სასოფლო საბჭოებს—სოფლად უფლება აქვთ გამოიყენონ აღნიშნული საკვები ფონდი და გადასცენ იგი კოლექტიურ მეურნეობათ და ინდივიდუალურ ღარიბ და საშუალო მეურნეობათ იმ ფასად, რასაც დაადგენენ ეს საბჭოები და აღმასრულებელი კომიტეტები კუთვნილებისამებრ.

4. ამა დადგენილების 1-ლი და მე-2 მუხლში აღნიშნული წესების დარღვევისათვის დამნაშავეს ქალაქად—საქალაქო საბჭო ან სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი, ხოლო სოფლად—სასოფლო საბჭო დაადებს ადმინისტრატიული წესით ჯარიმას 5 მანეთიდან 100 მანეთამდე.

5. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. მაისის 18-ის დადგენილება (საქ. სსრ კან. კრ. 1930 წ. მე-11 №-ი, მუხ. 164) გაუქმებულ იქნეს.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარის მაგ. **პ. მელაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ლ. სუხიშვილი.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **ს. თოდრია.**

1931 წ. მაისის 27.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 125 №-ში 1931 წ. ივნისის 2.

---

136. დადგენილება ც.ა.კ.

გლეხთა სახლების მუშაობის გაუმჯობესებისათვის და პირდაპირი დანიშნულებისამებრ გამოყენებისათვის პრაქტიკულ ღონისძიებათა შესახებ.

1. საქართველოს სსრ გლეხთა სახლის მშრომელ მასებთან უფრო მჭიდროდ დაკავშირების მიზნით, საბჭოს შემადგენლობაში დამატებით შეყვანილ იქნენ: ნაციონალურ უმცირესობათა, კოლმეურნეობათა, ღარიბ-საშუალო გლეხობის და წარმოების მუშების წარმომადგენლები.

2. დაევალოს გლეხის ცენტრალური სახლის საბჭოს დაუყოვნებლივ მიიღოს საჭირო ზომები საბჭოს პრეზიდიუმის მუშაობის გადახალისებისა და ყოველმხრივ გაუმჯობესებისათვის იმგვარად, რომ საბჭოს პრეზიდიუმის საქმიანობაში საკვებით უზრუნველყოფილ იქნეს კოლეგიალური მუშაობა (სისტემატიურად სხდომების მოწვევა, ყველა მნიშვნელოვანი საკითხების განხილვა და გადაწყვეტა აღნიშნულ სხდომებზე და სხვა), ნაცვლად პრეზიდიუმის ფუნქციების გადაბარებისა გლეხის ცენტრალური სახლის გამგისათვის, როგორც ამას ფაქტიურად დღემდე ჰქონდა ადგილი.

დაევალოს აგრეთვე სარევიზიო კომისიას სისტემატიურად აწარმოოს პრეზიდიუმის მუშაობის შემოწმება, როგორც ფინანსიურ, ისე სოციალურ-კულტურულ და სხვა დარგში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. დაევალოს გლეხის ცენტრალურ სახლის საბჭოს ერთი თვის განმავლობაში მოიწვიოს ყველა სარაიონო გლეხთა სახლების და ავტონომიური ერთეულების გლეხთა ცენტრალურ სახლთა გამგეების თათბირი, სათანადო რესპუბლიკანური ორგანიზაციების მონაწილეობით, სადაც მოსმენილ იქნება მოხსენება გლეხთა სახლების ადგილებზე მუშაობის შესახებ; თათბირი ჩატარებულ უნდა იქნეს გლეხის სახლების პირდაპირი დანიშნულების მიხედვით გამოყენების შესახებ არსებული დირექტივების განმტკიცებისა და გატარების ნიშნით, ამ თათბირზე გამომუშავებული პრაქტიკული ღონისძიებანი ერთი დეკადის განმავლობაში წარმოედგინოს ცაკს დასამტკიცებლად.

5. გაფართოებულ იქნეს მუზეუმი, მოწვეულ იქნეს მასში სამუშაოდ აგრონომი.

6. ვინაიდან გლეხის სახლში დამცველთა კოლექტივის წევრების მორიგეობით მუშაობა არ არის საკმარისი სოფლიდან ჩამოსული გლეხობის მომსახურეობისათვის, დაევალოს გლეხის ცენტრალური სახლის საბჭოს მოიწვიოს ერთი იურისტი მუდმივ სამუშაოზე. ამავე დროს როგორც გლეხის ცენტრალურ სახლის ხაზით, ისე სასამართლოს ორგანოების მიერ მიღებულ იქნეს საჭირო ზომები მორიგე იურისტების დანიშნულ საათებში გამოუცხადებლობის წინააღმდეგ. აგრეთვე წინადადება მიეცეს პროკურატურას სისტემატიური და აქტიური მონაწილეობა მიიღოს გლეხის სახლის მუშაობაში—გლეხებს შორის სათანადო კითხვა-პასუხის და საუბრების ჩატარებით.

7. ყურადღება მიექცეს გლეხებისათვის კოლმეურნეობის საკითხების ახსნა-განმარტებას, განსაკუთრებით სანარდო სისტემის შემოღებას, სასოფლო-სამეურნეო გადასახადის საკითხებს და სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო კამპანიებს.

8. სისტემატიურად ეწყობოდეს ჩამოსული გლეხობის ექსკურსიები, მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებში, ფაბრიკა-ქარხნებში და სხვ.

9. გლეხთა სახლის მიერ მიქცეულ იქნეს მეტი ყურადღება სოციალისტური შრომის მეთოდების გაძლიერებით გამოყენებას (სოც. შეჯიბრი, დამკვრელობა და სხვა).

10. დაევალოს გლეხის ცენტრალური სახლის საბჭოს უახლოეს ვადაში საშეფოდ აიყვანოს კიდევ ერთი სოფელი და მიიღოს ზომები, რათა კოლმეურნეობრივი და სხვაგვარი მუშაობა საშეფო სოფელში დაყენებულ იქნეს საცდელ-საჩვენებელ და სანიმუშო ნიადაგზე.

ამავე დროს გაძლიერებულ იქნეს ხელმძღვანელობა საშეფოდ აყვანილ ახალდაბაზე.

11. მიღებულ იქნეს საჭირო ზომები იმისათვის, რათა ეწყობოდეს მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონების წარმომადგენელთა გამოწვევა და მათი მოხსენების მოსმენა გლეხთა ცენტრალურ სახლში ჩამოსულ გლეხებს შორის.

სარაიონო გლეხთა სახლების შესახებ.

12. ყველა სარაიონო გლეხთა სახლები, რომლებიც ამჟამად იმყოფებიან გლეხკომებისა და სასოფლო-სამეურნეო არტელების გამგებლობაში, ჩამოერთვას მათ და გადაეცეს სარაიონო აღმასკომებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა. იმ შემთხვევაში, როდესაც გლეხკომი იჩენს საკმაო მზრუნველობას გლეხის სახლზე, იგი შეიძლება დატოვებულ იქნეს სარაიონო აღმასკომის და გლეხკომის საერთო გამგებლობაში, უკეთუ ამას დასთანხმდება სარაიონო აღმასკომი.

13. დაევალოს ქუთაისის ქალაქის საბჭოს: ა) დაუყოვნებლივ გაანთავისუფლოს აგარაკ წყალტუბოში აშენებული ქუთაისის გლეხკომის შენობა, რომელიც ამჟამად იჯარით უკავია წყალტუბოს ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებას, და გადასცეს ის გლეხთა სახლს ჩამოსულ კოლმეურნეებისა და ღარიბ-საშუალო გლეხთა მოსათავსებლად;

ბ) ორი დეკადის განმავლობაში ქუთაისის გლეხთა სახლი უზრუნველყოს საწოლებით და სხვა საჭირო მოწყობილობით;

გ) გლეხის სახლთან მოეწყოს ბაკი ჩამოსული კოლმეურნეების და ღარიბ-საშუალო გლეხების ურმების, ცხენების და სხ. დასაყენებლად.

14. დაევალოს გურჯაანის სარაიონო აღმასკომს, რათა მიიღოს საჭირო ზომები, ერთი თვის განმავლობაში გლეხთა სახლისათვის გამონახულ იქნეს შესაფერი შენობა და აგრეთვე მოწყობილ იქნეს ბაკი.

15. დაევალოს ლანჩხუთის სარაიონო აღმასკომს, რათა ლანჩხუთის გლეხთა სახლი, რომელიც ფაქტიურად წარმოადგენს ჩვეულებრივ სასტუმროს, სადაც ღამეს ათევენ მხოლოდ მივლინებული პირები და იმყოფება სასოფლო-სამეურნეო არტელის განკარგულებაში, დაუყოვნებლივ მიიღოს თავის გამგებლობაში, გადააქციოს ნამდვილ გლეხის სახლად და მოაწყოს სათანადო ბაკი.

16. დაევალოს გლეხთა სახლის ცენტრალურ საბჭოს შეიმუშაოს გლეხთა სახლის დებულება და განიხილოს იგი სარაიონო გლეხთა სახლების გამგეების თათბირზე და 2 დეკადის ვადაში წარმოუდგინოს ცაკს დასამტკიცებლად.

17. წინადადება მიეცეს ყველა სარაიონო აღმასკომებს, რომ ყოველმხრივ გააძლიერონ და გააუმჯობესონ გლეხთა სახლების მუშაობა სოციალურ-კულტურულ დარგში, ჩააბან გლეხის სახლების ყოველდღიურ მუშაობაში აღმასკომების საადგილმამულო ორგანოები და განყოფილებები, საკოლმეურნეო კოოპ. ორგანიზაციები, მიამაგრონ გლეხის სახლებს სამუშაოდ აგრონომები, სპეციალისტები და მეურნეობის ცალკე დარგების ორგანიზატორები, მოაწყონ ამ სახლებში ფართე კონსულტაცია შრომის, მეურნეობის, კულტურული, საბჭოთა მშენებლობის იურიდიულ და სხვა დარგში.

18. წინადადება მიეცეს რადიო-ცენტრს, ჩაატაროს სარაიონო გლეხთა სახლების რადიოფიკაცია.

19. წინადადება მიეცეს ყველა სარაიონო აღმასკომებს თავის სხდომებზე პერიოდულად მოისმინონ მოხსენებები გლეხის სახლის მუშაობის შესახებ.

20. დაევალოს საქართველოს ცაკის საორგანიზაციო განყოფილებას ყოველმხრივ გააძლიეროს და გააუმჯობესოს თავისი მუშაობა გლეხთა სახლებზე ხელმძღვანელობისა და დახმარების საქმეში და მასვე დაეკისროს ყველა ზემოდჩამოთვლილ ღონისძიებათა გატარების კონტროლი.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **ს. თოდრია.**

1931 წ. მაისის 27.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 131 №-ში 1931 წ. ივნისის 9.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაჭრობა. მომარაგება

137. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული საზოგადოებრივი კვების დამხმარე საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ.

1. დამტკიცებულ იქნეს შემდეგი დებულება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული საზოგადოებრივი კვების დამხმარე საბჭოს შესახებ.

2. გაუქმებულ იქნეს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. აპრილის 6-ის დადგენილებით დამტკიცებული „დებულება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული სახალხო კვების დამხმარე კომიტეტის შესახებ“ (კან. კრ. 1930 წ. 10 №-ი, მუხ. 113).

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარის მაგ. **პ. მელაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ბ. გოგია.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **ს. თოდრია.**

1931 წ. აპრილის 27.

ტფილისი.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული საზოგადოებრივი კვების დამხმარე საბჭოს შესახებ.

1. რათა საზოგადოებრივი კვების საქმე მაქსიმალურად იქნეს განვითარებული და გაუმჯობესებული, რათა ამ საქმეში ჩაებას მშრომელთა ფართო მასები, პირველ რიგში მუშათა მასიური კონტროლის ორგანიზაციით, და გაერთიანდეს ის მუშაობა, რასაც საზოგადოებრივი კვების სფეროში სახელმწიფო დაწესებულებანი და პროფესიონალური, კოოპერატიული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები ანხორციელებენ, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან ეწყობა საზოგადოებრივი კვების დამხმარე საბჭო.

2. საზოგადოებრივი კვების დამხმარე საბჭოს ძირითად ამოცანას წარმოადგენს: ა) ყოველგვარად ხელი შეუწყოს მუშათა მასიური კონტროლის ორგანიზაციას და ქარხნების, ფაბრიკების და ცალკეული ცეხების შეფობის დაწესებას საზოგადოებრივი კვების საწარმოთა მიმართ; ხელი შეუწყოს მუშათა თვითმოქმედებისა და ინიციატივის განვითარებას და აგრეთვე მუშათა საზოგადოებრივობის ყურადღების მობილიზაციას საზოგადოებრივი კვების კონკრეტული საკითხების გარშემო; აქტიური დახმარება გაუწიოს სოციალისტური შეჯიბრებისა, დამკვრელობისა და საზოგადოებრივი ბუქსირის ფორმების გაშლას, რათა აღმოფხვრილ იქნეს ყველა არსებული ნაკლი და გაუმჯობესდეს მუშაობა საზოგადოებრივი კვების საწარმოებში; ბ) გააერთიანოს და წარმართოს სახელმწიფო ორგანოები და აგრეთვე პროფკავშირული, კოოპერატიული და სხვა საზოგადო-

ებრივი ორგანიზაციების მოქმედება საზოგადოებრივი კვების სისტემის რადიკალურად გარდაქმნისა და მომსახურეობის ახალ ფორმებზე გადასვლის სფეროში (დახურული სასადილოები ფაბრიკებთან, ქარხნებთან და საბჭოთა მეურნეობებთან და სხვ.); გ) ხელი შეუწყოს მუშათა საზოგადოებრივობის შეკავშირებულ მონაწილეობას საზოგადოებრივი კვების დაწესებულებათა საწარმოო გეგმების შემუშავებაში და საზოგადოებრივი კვების მშენებლობისა და განვითარების ჯუმლობრივი გეგმების შედგენაში; დ) ხელი შეუწყოს საზოგადოებრივი კვების განვითარების გეგმებში გათვალისწინებულ ღონისძიებათა თავის დროზე დაფინანსებას სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთა, კოოპერატიულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციათა მიერ და აგრეთვე ხელი შეუწყოს სათანადო საშუალებათა გამონახვას იმისათვის, რომ მოსახლეობამ თავისი სახსარით მონაწილეობა მიიღოს სასადილოების მოწყობაში ქალაქად და სოფლად; ე) მოაწყოს თვალყურისდევნება და კონტროლი იმ სახსარის თავის დროზე და რაციონალური გამოყენებისათვის, რაც დანიშნულია საზოგადოებრივი კვების საწარმოთა კაპიტალური მშენებლობისათვის; ვ) აქტიური დახმარება აღმოუჩინოს მექანიკური განწყობილობისა და სატიპო ინვენტარის წარმოების გაშლას საზოგადოებრივი კვების საწარმოთათვის და აგრეთვე კონტროლი გაუწიოს ამ გაწყობილობისა და ინვენტარის რაციონალურად გამოყენებას; ზ) ხელი შეუწყოს ბავშვთა სკოლებში კვების ყოველმხრივ განვითარებას, უპირველეს ყოვლისა მნიშვნელოვან სამრეწველო რაიონებში, ბავშვთა საზოგადოებრივი კვების სპეციალურ საწარმოთა მშენებლობას, ამ ღონისძიებათა დაფინანსებას სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ და ისეთ საშვალებათა გამონახვას, რომ ამ საქმეში გამოყენებულ იქნეს მოსახლეობის სახსარი; თ) ხელი შეუწყოს დიეტური კვების ყოველმხრივ განვითარებას, პირველ რიგში მუშებისა და მათი ოჯახებისათვის, მნიშვნელოვან სამრეწველო რაიონებში, აგრეთვე დიეტური კვების სპეციალურ საწარმოთა მშენებლობას, ამ ღონისძიებათა დაფინანსებას სახელმწიფო საწარმოთა, დაწესებულებათა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა მიერ და ისეთ საშვალებათა გამონახვას, რომ ამ საქმეში გამოყენებულ იქნეს მოსახლეობის სახსარი; ი) ხელი შეუწყოს მუშათა ინიციატივის განვითარებას საზოგადოებრივი კვების საწარმოთა სასურსათო ბაზის განმტკიცებისათვის საჭირო ღონისძიების განხორციელების სფეროში (მებოსტნეობა, საღორეების მოწყობა, შინაური კურდღლის მოშენება, მეფრინველეობა და სხვ.) და დააწესოს სისტემატიური კონტროლი საქარხნო დახურული სასადილოების საკვები პროდუქტებით სრული და თავის დროზე მომარაგებისათვის და ამ პროდუქტების სათანადო ხარჯვისათვის; კ) ხელი შეუწყოს სამეცნიერო-საგამომკვლევო მუშაობის ყოველმხრივ გაშლას ფაბრიკა-სამზარეულოებისა და საცდელი სადგურების ადგილობრივ ლაბორატორიებში და აგრეთვე კვების, კერძოდ მუშათა კვების, საკითხების მეცნიერულ დამუშავებას, მრეწველობის ცალკეული დარგების საწარმოო თავისებურებათა აღნუსხვით, და ბავშვთა და დიეტური კვების საკითხების დამუშავებას; ხელი შეუწყოს აგრეთვე იმას, რათა შესწავლილ იქნეს ამერიკისა და დასავლეთ-ევროპის გამოცდილება საზოგადოებრივი კვების ორგანიზაციისა და ტეხნიკის სფეროში; ლ) ხელი შეუწყოს საზოგადოებრივი კვების

საწარმოთა გადაჭრით გაწმენდას უვარგისი, უცხო და მავნებლური ელემენტებისაგან, ამ საწარმოთა ხელმძღვანელი შედგენილობის გამაგრებას [illegible] მომუშავეებით მუშებისა, მუშა-ქალებისა და მუშათა ცოლების წრიდან და სათანადო ღონისძიებათა განხორციელებას იმისათვის, რომ ამავე წრიდან მომზადდეს მომუშავეთა ახალი კადრები საერთო, საბავშვო და დიეტური საზოგადოებრივი კვების საქმეში და აგრეთვე საზოგადოებრივი კვების საწარმოთათვის საჭირო სპეციალისტები (ექიმები, ინჟენერები და სხვ.); მ) ხელი შეუწყოს მუშათა ინიციატივის ახალი ფორმებისა და მეთოდების გავრცელებას საზოგადოებრივი კვების ორგანიზაციის გაუმჯობესების სფეროში და აგრეთვე პერიოდულ ბეჭდით ორგანოებში საზოგადოებრივი კვების საკითხების უფრო ფართოდ გაშუქებას და სამეცნიერო და პოპულარული ლიტერატურის გამოცემას საზოგადოებრივი კვების საკითხების შესახებ ქართულ ენაზე.

3. საზოგადოებრივი კვების დამხმარე საბჭოს შედგენილობაში შედიან: თავმჯდომარე და მისი მოადგილე, რომელთაც დანიშნავს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო; სრულიად საკავშირო საპაიო ამხანაგობის—„სახალხო კვების“ ა/კ-ის განყოფილების რწმუნებული და შემდეგი უწყებებისა, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების თითო წარმომადგენელი, რომელთაც პერსონალურად დაამტკიცებს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო: ა) საქართველოს სსრ შრომის სახალხო კომისარიატისა, ბ) საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატისა, გ) საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოსი, დ) საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატისა, ე) საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისა, ვ) საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატისა, ზ) საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიისა, თ) გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოსი (ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან), ი) საქართველოს სსრ მომარაგების სახალხო კომისარიატისა, კ) საქართველოს სსრ პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსი, ლ) საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტისა, მ) საქართველოს სსრ სამომხმარებლო კოოპერატივების კავშირის—„ცეკავშირი“-სა, ნ) სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის კავშირის—„სოფლის კავშირი“-სა, ო) საქართველოს საბინაო კოოპერაციის კავშირისა, პ) საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული ბავშვთა ყოფა-ცხოვრების გამაუმჯობესებელი კომისიისა, ჟ) საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მუშა-ქალთა და გლეხ-ქალთა განყოფილებისა, რ) პროლეტარული სტუდენტობის ცენტრალური ბიუროსი, ს) გაზ. „კომუნისტის“ და „კოლექტივიზაციის“ რედაქციებისა, ტ) საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტისა, უ) ტფილისის საქალაქო საბჭოსი და ფ) მუშათა ერთიანი კოოპერატივისა.

საზოგადოებრივი კვების დამხმარე საბჭოს მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ აგრეთვე სამრეწველო საწარმოთა და რკინის გზის ტრანსპორტის საწარმოთა მუშებისა, მუშა-ქალებისა და მუშათა ცოლების წარმომადგენელნი იმ სიების მიხედვით, რასაც შეადგენენ სათანადო პროფესიონალური კავშირები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩამოთვლილ პირთა გარდა, დამხმარე საბჭოს თავმჯდომარეს, საბჭოს პრეზიდიუმის შემდგომი დამტკიცებით, უფლება აქვს მიიწვიოს საბჭოს შედგენილობაში ცალკეული პირები, რომელთაც შეუძლიანთ აქტიური დახმარება გაუწიონ საზოგადოებრივი კვების განვითარების საქმეს.

4. მიმდინარე პრაქტიკული მუშაობის საწარმოებლად დამხმარე საბჭო გამოჰყოფს თავისი შედგენილობიდან პრეზიდიუმს 5 წევრისაგან, მათ რიცხვში საბჭოს თავმჯდომარეს და მის მოადგილეს.

5. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული საზოგადოებრივი კვების დამხმარე საბჭო თავისი მუშაობის გეგმას წარუდგენს დასამტკიცებლად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და აგრეთვე პერიოდულად წარუდგენს ხოლმე ამ უკანასკნელს თავისი მუშაობის ანგარიშს. დამხმარე საბჭოს მოსამსახურეობას გაუწევს სრულიად საკავშირო საპაიო ამხანაგობის „სახალხო კვების" რწმუნებულის სამმართველოს აპარატი.

6. დაკისრებული მოვალეობის აღსრულებისათვის დამხმარე საბჭოს უფლება ეძლევა მოსთხოვოს სახელმწიფო დაწესებულებებს და აგრეთვე კოოპერატიულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს საჭირო მასალა.

7. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული საზოგადოებრივი კვების დამხმარე საბჭო საერთო ხელმძღვანელობას და მეთვალყურეობას გაუწევს საზოგადოებრივი კვების დამხმარე ადგილობრივი საბჭოების მოქმედებას და საჭირო შემთხვევაში გამოსცემს ინსტრუქციებს, ცირკულარებს და განკარგულებებს ამა დებულების შეფარდებისათვის და სხვა საკითხებისათვის, რაც ადგილობრივი საბჭოების მუშაობას შეეხება.

8. დამხმარე საბჭო მოიწვევს, არსებული წესისამებრ, თათბირებს საზოგადოებრივი კვების საკითხების შესახებ, მოისმენს ადგილობრივი დამხმარე საბჭოების ანგარიშებს და საზოგადოებრივი კვების სფეროში მომუშავე სხვა ორგანოების მოხსენებებს.

9. დამხმარე საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა შესდგება ორ დეკადაში ერთხელ მაინც. საბჭოს პლენუმი მოიწვევა კვარტალში ერთხელ მაინც, ხოლო საჭირო შემთხვევაში იგი მოიწვევა საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით აღნიშნულ ვადაზე ადრეც.

10. დამხმარე საბჭოს აქვს ბეჭედი სახელმწიფო ღერბის გამოსახულებით.

11. ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებთან და სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტებისა და აგრეთვე საქალაქო საბჭოების პრეზიდიუმებთან მოეწყობა საზოგადოებრივი კვების დამხმარე ადგილობრივი საბჭოები; ადგილობრივი დამხმარე საბჭოს შედგენილობას განსაზღვრავენ სათანადო რესპუბლიკებისა და ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტები ან სათანადო აღმასრულებელი კომიტეტებისა და საბჭოების პრეზიდიუმები იმ შედგენილობის შესაბამისად, რაც ამა დებულების მე-3 მუხლით გათვალისწინებულია საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული დამხმარე საბჭოსათვის.

12. საზოგადოებრივი კვების დამხმარე ადგილობრივი საბჭოები (მუხ. 11) სათანადო ტერიტორიის ფარგლებში განახორციელებენ ამა დებულების მე-2 მუხლით გათვალისწინებულ ფუნქციებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

13. საზოგადოებრივი კვების დამხმარე ადგილობრივი საბჭოები აერთიანებენ მუშათა საზოგადოებრივობას საზოგადოებრივი კვების საკითხების გარშემო და თავიანთ პრაქტიკულ მუშაობაში ეყრდნობიან საბჭოების სექციებს და ადგილობრივ პროფკავშირულ, კოოპერატიულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს.

14. საზოგადოებრივი კვების დამხმარე ადგილობრივი საბჭოების მომსახურეობა დაეკისრება ავტონომიური რესპუბლიკების და ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების და სათანადო ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტების ან საბჭოების აპარატს—კუთვნილებისამებრ და აგრეთვე სამომხმარებლო კოოპერაციის აპარატს.

15. საზოგადოებრივი კვების დამხმარე ადგილობრივი საბჭოები თავიანთი მუშაობის ანგარიშს წარუდგენენ ავტონომიური რესპუბლიკების და ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს და სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტებისა და საქალაქო საბჭოების პრეზიდიუმებს; ეს საბჭოები აგრეთვე გააკეთებენ ხოლმე მოხსენებას თავიანთი მუშაობის შესახებ მუშათა ფართო კრებებზე და კონფერენციებზე.

კომუნალური და საბინაო მეურნეობანი

138. დადგენილება ს.კ.ს.

ტფილისის ელექტრო-რკინის გზით შეღავათიანი მიმოსვლის თაობაზე გამოცემულ დადგენილებათა გაუქმების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

გაუქმებულ იქნეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს შემდეგი დადგენილებანი ტფილისის საქალაქო ტრამვაით შეღავათიანი მიმოსვლის შესახებ:

1) 1931 წ. იანვრის 10-ისა (კან. კრ. 1931 წ. მე-2 №-ი, მუხ. 17);
2) 1931 წ. თებერვლის 11-ისა (კან. კრ. 1931 წ. მე-5 №-ი, მუხ. 59);
3) 1931 წ. აპრილის 5-ისა.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ლ. სუხიშვილი.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ვ. მესხი.**

1931 წ. მაისის 14.
ტფილისი.

---

139. დადგენილება ც.ა.კ.

საქართველოს სსრ-ში მუშათა საბინაო მშენებლობის შესახებ.

სოციალისტური მშენებლობის უდიდესმა წარმატებამ შექმნა საჭირო წინასწარი პირობები მუშათა საბინაო მშენებლობის განვითარებისათვის. მიუხედავად ამისა მშენებელმა ორგანიზაციებმა საკმარისად ვერ გაშალეს მუშაობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ სფეროში, რის გამოც მუშათა საბინაო მშენებლობას ახასიათებს მთელი რიგი დეფექტებისა. ამ მშენებლობის უმთავრეს ნაკლად უნდა ჩაითვალოს:

ა) მუშათა საბინაო მშენებლობის კაპიტალურ დაბანდებათა სიმცირე განსაზოგადოებული სექტორის ყველა კატეგორიის მეაღნაგეთა ხაზით (ადგილობრივი საბჭოები, საბინაო-სამშენებლო კოოპერაცია, მრეწველობა და ტრანსპორტი);

ბ) მშენებლობის სიძვირე, რაც გამოიხატა იმაში, რომ კანონით დადგენილი ლიმიტი მშენებლობის ერთეულის ღირებულებისა თვალსაჩინოდ გადამეტებულია; ამ სიძვირის უშუალო მიზეზებია: მშენებლობის მეტად ნელი ტემპი, საშენი მასალის, მუშა-ხელის და ტრანსპორტის სიძვირე, შენობების არაეკონომიურობა, მშენებლობის დაქსაქსულობა და მშენებლობის პროცესების არარაციონალური მიმდინარეობა;

გ) მუშათა საბინაო მშენებლობის არასაკმარისი მომარაგება საშენი მასალით და აგრეთვე ამ მასალის გამოყოფილი ფონდების არასწორე განაწილება ცალკე მეაღნაგეთა შორის;

დ) ადგილობრივი საშენი მასალის (კრამიტი, სახურავი ფიქალი და სხვ.) არასაკმარისი გამოყენება;

ე) მშენებლობის მუშა-ხელით მომარაგების საქმის მოუწესრიგებლობა;

ვ) გეგმიანობისა და საამშენებლო-სატეხნიკო კონტროლის სისუსტე;

ზ) ახლად გაკეთებული საბინაო ფართობის არასწორე განაწილება მდგმურთა ცალკე სოციალურ ჯგუფებს შორის;

თ) მუშათა საბინაო მშენებლობის დარგში სწორე აღნუსხვის უქონლობა;

ი) მუშათა საბინაო მშენებლობის ჩამორჩენა მოსახლეობის ზრდისაგან (ბუნებრივი და მექანიკური ზრდა), რის გამოც საცხოვრებელი ფართობის სულობრივი (საშუალო) ნორმა შემცირდა 5,67 კვადრ. მეტრიდან 1928 წ. 5,23 კვ. მეტრამდე 1931 წ.

ზემოაღნიშნულის მიხედვით სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. წინმდადება მიეცეს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს ადგილობრივი ბიუჯეტის განხილვისა და დამტკიცების დროს ყურადღება მიაქციოს, თუ რამდენად მტკიცედ შეასრულეს ადგილობრივმა საბჭოებმა და აღმასრულებელმა კომიტეტებმა არსებული კანონები მუშათა საბინაო მშენებლობის სპეციალური ასიგნაციების შესახებ.

2. მუშათა საბინაო მშენებლობის საქმეში ფართო მშრომელი მასების სახსარის მიზიდვისა და ამ სფეროში მათი თვითმოქმედების განვითარების მიზნით წინადადება მიეცეს საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას მუშათა საბინაო მშენებლობის დაფინანსების საქმის დაგეგმვის დროს გაადიდოს საბინაო სამშენებლო კოოპერაციის ხვედრითი წონა, რისთვისაც აღნიშნულ კოოპერაციას უნდა გადაეცეს ყველა თანხა მუშათა საბინაო მშენებლობის დაკრედიტების სპეციალური კაპიტალებისა და აგრეთვე ყველა კრედიტი, რაც გაღებულ იქნება ცენტრალური კომუნალური ბანკიდან მეაღნაგეთა ყველა დანარჩენი ჯგუფების ხაზით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს სამრეწველო ახალშენებათა პროექტირების დროს უსათუოდ გაითვალისწინოს სათანადო თანხები მუშათა საბინაო მშენებლობისათვის მათი პირდაპირი დანიშნულებისამებრ გამოყენებით.

4. რადგანაც მშენებლობის ერთეულის დადგენილი ლიმიტები აშკარად არ შეესაბამება საბინაო მშენებლობის ფაქტიურ ღირებულებას და იმ მიზნით, რათა თავიდან აცილებულ იქნეს 1931 წ. მშენებლობის მოცულობის ხელოვნური გადიდება და კომუნალური ბანკის მიერ მუშათა საბინაო მშენებლობის დაფინანსების საქმის დაბრკოლება,—წინადადება მიეცეს საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას გადასინჯოს დადგენილი ლიმიტები იმ მხრივ, რომ ისინი შეესაბამებოდენ მშენებლობის ფაქტიურ ღირებულებას.

5. დაევალოს მშენებელ ორგანიზაციებს—მუშათა საბინაო მშენებლობა აწარმოონ სატიპო პროექტების მიხედვით. ამა გადაწყვეტილების შესრულებისათვის კონტროლის გაწევა დაეკისროს იმ ორგანოებს, რომელნიც პროექტებს ამტკიცებენ და აგრეთვე საქართველოს სსრ კომუნალურ ბანკს.

6. წინადადება მიეცეს საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას, რათა მუშათა საბინაო მშენებლობის დაგეგმვის დროს თავიდან აცდენილ იქნეს მუშათა საბინაო მშენებლობის სახსრების დაქსაქსვა ეკონომიურის მხრივ უფრო რაციონალურად გამსხვილებული მშენებლობის საწარმოებლად და აგრეთვე გათვალისწინებულ იქნეს მშენებლობის მატერიალურ პროგრამაში უფრო მარტივი სახლების მშენებლობა.

7. წინადადება მიეცეს საქართველოს მომარაგება-ვაჭრობის სამმართველოს მაქსიმალურად უზრუნველჰყოს მუშათა საბინაო მშენებლობა საჭირო საშენი მასალით, ხოლო მშენებელ ორგანიზაციებს—გაშალონ მუშაობა ადგილობრივი საშენი მასალის დამზადებისათვის.

დაევალოს საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას თვალყური ადევნოს ამა დადგენილების განხორციელებას.

8. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ შრომის სახალხო კომისარიატს უზრუნველჰყოს მუშათა საბინაო მშენებლობა საჭირო რაოდენობის მუშა-ხელით.

9. მშენებლობის რაციონალიზაციისა და საინჟენერო-სატეხნიკო ძალების ეკონომიურად გამოყენების მიზნით წინადადება მიეცეს საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას—დაამუშაოს საკითხი სამშენებლო ორგანიზაციების გამსხვილების შესახებ.

10. დაწესებულ იქნეს მშენებელ ორგანიზაციათა ხელმძღვანელობის პერსონალური პასუხისმგებლობა მუშათა საბინაო მშენებლობის საქმეზე გაცემული კრედიტების სწორე გამოყენებისათვის.

11. რადგანაც სახლების რემონტის საქმე დამაკმაყოფილებელი ვერ არის, დაევალოს იმ ორგანიზაციებს, რომელნიც სახლების უშუალო ექსპლოატაციას ეწევიან, გაადიდონ თანხები სახლების რემონტისათვის და უზრუნველჰყონ ეს რემონტი საჭირო საშენი მასალით.

12. წინადადება მიეცეს საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას ორი დეკადის ვადაზე შეიჰუშაოს და წარუდგინოს სრულიად საქართველოს ცენტრა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლურ აღმასრულებელ კომიტეტს თავისი მოსაზრებანი მუშათა საბინაო მშენებლობის საქმეში გეგმიანობის გაძლიერების საკითხის შესახებ.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარის მაგ. ბ. მელაძე.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი ს. თოდრია.

1931 წ. აპრილის 27.

ტფილისი.

გამქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 111 №-ში 1931 წ. მაისის 16.

---

140. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

„ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში საცხოვრებელი სადგომების ქირის თაობაზე" გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების დამატების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

„ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში საცხოვრებელი სადგომების ქირის შესახებ" გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წ. ივლისის 4-ის დადგენილების 29 მუხლს (საქართველოს სსრ კან. კრ. 1927 წ. მე-7 №-ი, მუხ. 98) დაემატოს შენიშვნა შემდეგი შინაარსისა:

„**შენიშვნა.** ამიერკავკასიის ჰაერსავალი გზების სამმართველო და მისი ქვემდებარე ორგანოები მუნიციპალიზებულ სახლებში კანცელარიის ან სხვა, არასავაჭრო და არასამრეწველო ხასიათის, საჭიროებისათვის დაქირავებული სადგომების საიჯარო სასყიდლის (ქირის) განაკვეთების ზღვრული რაოდენობის მხრით გათანაბრებულ არიან სახელმწიფო ან ადგილობრივ ბიჯეტზე მყოფ სახელმწიფო დაწესებულებებთან".

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქ. სსრ ს. კ. ს-ის თავმჯდომარე ლ. სუხიშვილი.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი ს. თოდრია.

1931 წ. მაისის 13.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 108 №-ში 1931 წ. მაისის 13.

ფინანსები

141. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფი დაწესებულებების სპეციალურ სახსართა შესახებ.

„სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფი დასესებულებების სპეციალურ სახსართა შესახებ" გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. დეკემბრის 13-ის დადგენილებისა (სსრკ კან. კრ. 1931 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 3) და ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. თებერვლის 12-ის დადგენილების თანახმად—სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფი დაწესებულების სპეციალურ სახსრად ითვლება ამ დაწესებულების ისეთი შემოსავლისაგან შემდგარი თანხები, რაც, საკანონმდებლო ორგანოების განსაკუთრებული დადგენილების მიხედვით, დაწესებულებას შეუძლიან ხარჯოს სპეციალური მიზნებისათვის, საქართველოს სსრ ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო და საგასავლო ნაწილში გაუტარებლად.

2. რესპუბლიკანურ ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებას ის უფლება, რომ იქონიოს სპეციალური სახსარი, ეძლევა საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს განსაკუთრებული დადგენილებით.

შენიშვნა. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება, რომლითაც ამა თუ იმ დაწესებულებას ამა დადგენილების გამოცემამდე მინიჭებული ჰქონდა უფლება იქონიოს სპეციალური სახსარი, ძალაში რჩება.

3. ყოველი სახის სპეციალური სახსარისათვის რესპუბლიკანურ ბიუჯეტზე მყოფი დაწესებულება შეადგენს ყოველწლიურად როგორც შემოსავალსა, ისე გასავლის ხარჯთაღრიცხვას. ეს ხარჯთაღრიცხვა განმარტებითი წერილითურთ, წარედგინება საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს სათანადო უწყების ხარჯთაღრიცხვებთან ერთად რესპუბლიკანური ბიუჯეტისამებრ.

სპეციალურ სახსართა ხარჯთაღრიცხვებს განიხილავს და დაამტკიცებს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატი სათანადო უწყებასთან შეთანხმებით.

შეუთანხმებლობას საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატსა და უწყებას შორის საბოლოოდ გადასწყვეტს საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატი.

რესპუბლიკანურ ბიუჯეტზე მყოფ, დაწესებულების სპეციალურ სახსართა ხარჯთაღრიცხვებს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატი გააერთიანებს საერთო ჯუმლად, რაც სავალდებულო დანართია რესპუბლიკანური ბიუჯეტის ჯუმლისა.

შენიშვნა. საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის დაწესებულებების სპეციალურ სახსართა ხარჯთაღრიცხვებს დაამტკიცებს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატი—საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით.

4. სპეციალურ სახსართა ხარჯთაღრიცხვების ფორმებს და აგრეთვე ამ სახსართა თვითეული ცალკე სახის კლასიფიკაციას შეიმუშავებს რესპუბლიკანურ ბიუჯეტზე მყოფი სათანადო დაწესებულება, საქართველოს სსრ ფინანსთა სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხალხო კომისარიატთან შეთანხმებით და სახელმწიფო ბიუჯეტის კლასიფიკაციის მიხედვით.

5. უკეთუ განსაზღვრულ ვადაზე საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატში წარდგენილი სპეციალური სახსარის ხარჯთაღრიცხვა არ იქნა დამტკიცებული ამ კომისარიატის მიერ საბიუჯეტო წლის დაწყებამდე, ხარჯები, ვიდრე ხარჯთაღრიცხვა დამტკიცდებოდეს, შეიძლება გაწეულ იქნეს იმ თანხების ფარგლებში, რაც აღრიცხულია უწყების მიერ ფინანსთა სახალხო კომისარიატისათვის წარდგენილ ხარჯთაღრიცხვის პროექტში, ხოლო არა უმეტეს წლიური დანიშნულების $^{1}/_{12}$ ნაწილისა თვიურად.

ფინანსთა სახალხო კომისარიატში ხარჯთაღრიცხვის წარდგენამდე სპეციალური სახსარის ხარჯვა აკრძალულია.

6. უკეთუ დაწესებულებას უფლება — იქონიოს სპეციალური სახსარი — მიეცა საბიუჯეტო წლის განმავლობაში, სათანადო უწყება მოვალეა ერთი თვის ვადაზე დღიდან სახალხო კომისართა საბჭოს იმ დადგენილების გამოცემისა, რაც გათვალისწინებულია მე-2 მუხლში, წარუდგინოს ფინანსთა სახალხო კომისარიატს დასამტკიცებლად სპეციალური სახსარის საშემოსავლო და საგასავლო ხარჯთაღრიცხვა საბიუჯეტო წლის დარჩენილი ნაწილისათვის.

7. უწყების სპეციალური სახსარი ინახება პროცენტიან მიმდინარე ანგარიშზე იმ დაწესებულებაში, რომელსაც დაკისრებული აქვს სათანადო უწყების ხარჯთაღრიცხვების საკასო აღსრულება.

საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს უფლება აქვს, დაინტერესებულ უწყებასთან შეთანხმებით, ნება დართოს რესპუბლიკანურ ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებას შეინახოს სპეციალური სახსარი სახელმწიფო შრომითს შემნახველ სალაროში.

8. სპეციალური სახსარი უნდა იხარჯებოდეს ამ სახსარის დანიშნულებასთან სრული შესაბამისობით, დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვისა და ხელთქონებული თანხის ფარგლებში.

ერთი სახის სპეციალური სახსარის ხარჯთაღრიცხვიდან მეორე სახის სპეციალური სახსარის ხარჯთაღრიცხვაში სახარჯთაღრიცხვო დანიშნულებათა გადატან-გადმოტანა არ შეიძლება.

უკეთუ ხარჯთაღრიცხვით სპეციალური სახსარი სრულად არ შემოვიდა, დაწესებულება მოვალეა შეამციროს სათანადო რაოდენობით ხარჯთაღრიცხვით ნავარაუდევი ხარჯები.

უკეთუ დამტკიცებული საშემოსავლო ხარჯთაღრიცხვის აღსრულების დროს აღმოჩნდება, რომ შემოსავალმა გადააჭარბა ხარჯებს ნავარაუდევი შემოსავლის 20 %-ით, და დაწესებულება აპირებს დახარჯოს ეს ნამატი იმავე წელს, შედგენილ უნდა იქნეს დამატებითი საშემოსავლო და საგასავლო ხარჯთაღრიცხვა, რაც განიხილება და დამტკიცდება იმავე წესით, როგორც ძირითადი ხარჯთაღრიცხვა.

9. სპეციალური სახსარის ნაშთი, რაც საბიუჯეტო წლის დასასრულს იქნება, გადაიტანება შემდეგი წლის სპეციალური სახსარის ხარჯთაღრიცხვის სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემოსავლო ნაწილში, უკეთუ დადგენილებაში ამ სპეციალური სახსარის შესახებ გათვალისწინებული არ არის ნაშთის სხვა რიგად გამოყენება.

10. ანგარიშგებისა, რევიზიისა და კონტროლის მხრით სპეციალური სახსარი ექვემდებარება იმ საერთო წესს, რაც დადგენილია სახელმწიფო ბიუჯეტში გასატარებელ სახსართათვის.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარის მაგ. **ბ. მელაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ბ. გოგია.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **ს. თოდრია.**

1931 წ. აპრილის 27.

ტფილისი.

---

142. დადგენილება ს.კ.ს.

სამეთევზეო გამოსაღებისა და თევზის ჭერის რეწაობის უფლების საბილეთო გამოსაღების განაკვეთების მონაკლებთა დაწესების შესახებ.

„ინდივიდუალურ სამებადურო მეურნეობათა დაბეგვრის წესის შესახებ“ გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. თებერვლის 25-ის დადგენილების მე-7 მუხლის თანახმად (სსრკ კან. კრ. 1931 წ. მე-13 №-ი, მუხ. 127) საქართველოს სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დაწესებულ იქნეს საქართველოს სსრ-ის ტერიტორიაზე ისეთ ინდივიდუალურ სათევზე მეურნეობათათვის, რომელნიც სამეთევზეო გამოსაღებს იხდიან, და ისეთ ინდივიდუალურ სათევზე მეურნეობათათვის, რომელნიც თევზის ჭერის რეწაობის უფლების საბილეთო გამოსაღებს იხდიან, კულაკურ მეურნეობათა გარდა, აღნიშნულ გამოსაღებთა განაკვეთების მონაკლები 50% რაოდენობით.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ლ. სუხიშვილი.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ვ. მესხი.**

1931 წ. მაისის 4.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 116 №-ში 1931 წ. მაისის 22.

ზ რ ო მ ა

143. დადგენილება ს.კ.ს.

დაწინაურებულთა მუშაობის პირობების გაუმჯობესების შესახებ.

დაწინაურებულთა კვალიფიკაციის წარმატებისა და მუშაობის პირობესის გაუმჯობესებისათვის, აგრეთვე „დაწინაურებულთა მუშაობის პირობების გაუმჯობესების შესახებ“ გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. დეკემბრის 23-ის დადგენილების შესაბამისად (ა/კსფსრ კან. კრ. 1931 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 11) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს საქართველოს სსრ იმ სახელმწიფო და კოოპერატიული დაწესებულებათ და საწარმოთ, რომელთაც თავიანთ აპარატში ჰყავთ დაწინაურებულნი, მოაწყონ, მუშაობის ამა თუ იმ დარგში მათი კვალიფიკაციის წარმატებისათვის, კურსები სწავლების ვადით 3-დან 9 თვემდე.

2. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატებს და სხვა ცენტრალურ დაწესებულებებსა და კოოპერაციის ცენტრებს, აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის სათანადო ორგანოებს მისცენ ქვემდებარე დაწესებულებათ და საწარმოთ დირექტივები საერთო კურსების მოწყობის წესის შესახებ რამდენიმე დაწესებულებისა და საწარმოს დაწინაურებულთათვის, როდესაც დაწინაურებულთა რიცხვი მცირეა და ცალკე კურსების მოწყობა შეუძლებელია.

3. კურსების შესანახი ხარჯი დაეკისროს სათანადო დაწესებულებათ და საწარმოთ.

4. წინადადება მიეცეს დაწესებულებათა და საწარმოთა ადმინისტრაციას საჭირო შემთხვევაში, დაწინაურებულთა ამა თუ იმ ჯგუფის საერთო განვითარების მიხედვით, შეამცირონ ამ დაწინაურებულთა ოპერატიული მუშაობა აპარატში და, ამისდაშესაბამისად, გაუდიდონ მათ კურსებზე სწავლის საათების რიცხვი.

5. რათა დაწინაურებულნი რაც შეიძლება მალე და უშუალოდ გაეცნონ აპარატის მუშაობას, წინადადება მიეცეს დაწესებულებათ და საწარმოთ:

ა) შემოიღონ სისტემად დაწინაურებულთა მიწვევა კოლეგიებისა, გამგეობებისა და პრეზიდიუმების სხდომებზე;

ბ) შემოიღონ პრაქტიკად დაწინაურებულთა გაგზავნა ადგილებზე სამრეწველო და სამეურნეო მშენებლობათა რევიზიებში, გამოკვლევებში და სხვ. მონაწილეობის მისაღებად.

6. დაევალოს დაწესებულებათა და საწარმოთა ხელმძღვანელებს—უზრუნველჰყონ ნამდვილი მონაწილეობა ამა თუ იმ აპარატში მომუშავე ყველა დაწინაურებულისა აპარატის ისეთ მუშაობაში, როგორიც არის საკონტროლო ციფრებისა, საპერსპექტივო და ოპერატიული გეგმებისა და სხვა ამგვარი რამის შედგენა.

7. დაწინაურებულთა და მათ დამწინაურებელ საწარმოთა შორის ცოცხალი საორგანიზაციო კავშირის დასამყარებლად საჭიროდ იქნეს ცნობილი, რათა პერიოდულად ამ საწარმოთა მუშების კრებებს წარუდგინონ ხოლმე საანგარიშო მოხსენებები როგორც თვით დაწინაურებულებმა, ისე სათანადო დაწესებულებათა ხელმძღვანელებმა.

ეთხოვოს საქაროველოს სსრ პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს უზრუნველჰყოს ასეთი საანგარიშო მოხსენებების მოწყობა, რისთვისაც საქარხნო კომიტეტებში და ადგილობრივ კომიტეტებში გამოყოფილ უნდა იქნეს ავტორიტეტის მქონე საზოგადო მომუშავეთა რიცხვიდან სპეციალური ორგანიზატორები რომელნიც განაგებენ მარტოოდენ დაწინაურების საკითხებს.

8. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატს:

ა) მოაწყოს დაწინაურებულთა მუშაობის სფეროში მიღებული გამოცდილების გაცვლა-გამოცვლა პერიოდული თათბირების მოწვევით, რომლებშიაც მონაწილეობას მიიღებენ დაწინაურებულნი და სათანადო დაწესებულებათა და საწარმოთა ხელმძღვანელნი;

ბ) გაუწიოს სისტემატიური ინსტრუქტირება დაწინაურებულთ და ჩააბას ისინი მთავრობის დადგენილებათა შესრულებისათვის კონტროლის მოწყობისა და განხორციელებისათვის წარმოებულ მუშაობაში.

9. დაწინაურებულთა კურსებისათვის საერთო ხელმძღვანელობის გაწევა დაეკისროს საქართველოს სსრ შრომის სახალხო კომისარიატს.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ლ. სუხიშვილი.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ვ. მესხი.**

1931 წ. აპრილის 29.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 107 №-ში 1931 წ. მაისის 12.

---

144. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

კალიასთან საბრძოლველად სასყიდლიანი საშრომო და საჭაპანზიდვო ბეგარის შემოღების შესახებ.

რათა კალიაითან ბრძოლა წარმატებით იქნეს ჩატარებული, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. უფლება მიეცეს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს შემოიღონ ხოლმე, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს რწმუნებულის (კალიასთან ბრძოლის საქმეში) წინადადებით, სასყიდლიანი საშრომო და საჭაპანზიდვო ბეგარა ადგილობრივი მოსახლეობისათვის კალიასთან ბრძოლის სამუშაოთა შესასრულებლად.

2. 1-ლი მუხლის წესისამებრ შრომის ბეგარაზე გაწვეულ პირებს შრომის სასყიდელი მიეცემათ იმ მტკიცე შეფასებით, რასაც დააწესებს საქართველოს სსრ შრომის სახალხო კომისარიატი სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან შეთანხმებით; ხოლო სატრანსპორტო და საჭაპანზიდვო საშუალებათა სასყიდელი გაიღება იმ შეფასებით, რასაც დაამტკიცებს საქართველოს სსრ მომარაგების სახალხო კომისარიატი საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან შეთანხმებით.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ლ. სუხიშვილი.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **ს. თოდრია.**

1931 წ. მაისის 13.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 114 №-ში 1931 წ. მაისის 20.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოციალურ-კულტურული წყობილება

145. დადგენილება ს.კ.ს.

სწავლის ფულის გაუქმების შესახებ.

რადგანაც მშრომელთა უმეტესობა, თავისი სოციალური და ნივთიერი მდგომარეობის გამო, არა თუ სწავლის ფულს არ იხდის, არამედ იგი სახელმწიფოსაგან იღებს დახმარებას სტიპენდიების სახით, ამიტომ ქალაქის და სოფლის მშრომელთა ფართო მასების კულტურულ მშენებლობაში აქტიური ჩაბმის მიზნით, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. გაუქმებულ იქნეს 1931-32 სასწავლო წლიდან სწავლის ფული შვიდწლედებში, სპეციალურ ტეხნიკუმებში და უმაღლეს სასწავლებლებში, მუსიკალურ სასწავლებლების გამოკლებით, სადაც სწავლის ფულის გადახდა დროებით დარჩეს ძალაში ამ სასწავლებელთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით.

2. რათა სწავლის ფულის გაუქმებამ არ გამოიწვიოს სასწავლებლების მატერიალური მდგომარეობის გაუარესება, წინადადება მიეცეს აფხაზეთის და აჭარისტანის ავტონომიური რესპუბლიკებისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს, სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს, ქალაქების საბჭოებს და რესპუბლიკის იმ უწყებებს და სამეურნეო ორგანოებს, რომელთა გამგებლობაშიაც სასწავლებლებია, გაითვალისწინონ თავის ბიუჯეტში სასწავლებლების ყველა იმ მოთხოვნილების დაკმაყოფილება, რასაც სწავლის ფულით შედგენილი სპეციალური თანხები ხმარდებოდა.

3. დაეევალოს განათლების სახალხო კომისარიატს დაუყოვნებლივ შეიმუშაოს და გამოსცეს ინსტრუქცია მუსიკალურ სასწავლებლებში სწავლის ფულის რაოდენობისა და გადახდის წესის შესახებ.

4. გაუქმებულ იქნეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1926 წ. თებერვლის 5-ის დადგენილება თემებისა და სოფლების შვიდწლიან და ცხრაწლიან შრომის სასწავლებლებში სწავლის ფულის გადახდევინების შეჩერების შესახებ.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ლ. სუხიშვილი.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ვ. მესხი.**

1931 აპრილის 29.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ მე-114 №-ში 1931 წ. მაისის 20.

ეროვნული ბიბლიოთეკა

146. დადგენილება ც.ა.კ.

მარქსიზმისა და ლენინიზმის ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

დამტკიცებულ და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს ამასთანავე დართული დებულება სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული მარქსიზმისა და ლენინიზმის ინსტიტუტის შესახებ.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **ხ. თოდრია.**

1931 წ. მაისის 13.

ტფილისი.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული მარქსიზმისა და ლენინიზმის ინსტიტუტის შესახებ.

ინსტიტუტის ამოცანები.

1. მარქსიზმისა და ლენინიზმის ინსტიტუტი არის საქართველოს სსრ უმაღლესი სამეცნიერო-საკვლევო დაწესებულება.

2. ინსტიტუტი იმყოფება სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან და არის მის უშუალო გამგებლობაში; თავის სამუშაო გეგმებსა და ანგარიშებს იგი წარუდგენს დასამტკიცებლად სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს.

3. მარქსიზმისა და ლენინიზმის ინსტიტუტის მიზანია:

ა) დაუმორჩილოს იდეოლოგიის მთელი ფრონტი მარქსისტულ და ლენინურ მსოფლმხედველობას, აწარმოოს სასტიკი და შეურიგებელი ბრძოლა ანტიმარქსისტულ და ანტილენინურ მიმართულებების წინააღმდეგ მეცნიერების ყველა დარგში; იბრძოლოს მარქსიზმის და ლენინიზმის ყოველგვარი დამახინჯების წინააღმდეგ;

ბ) დაამუშაოს სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკული პრობლემები და მოუმზადოს სოციალისტურ მშენებლობას უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტთა კადრები;

გ) განახორციელოს საქართველოს სსრ მეცნიერული მუშაობის ერთიანი სამეცნიერო-მეთოდოლოგიური ხელმძღვანელობა;

დ) შეისწავლოს საქართველოს და ამიერკავკასიის ბუნებრივი საწარმოო ძალები;

ე) შეისწავლოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის სოციალისტური განვითარების ყველა საკითხი (მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სპეციალიზაცია, დარაიონება და სხვ.);

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ) შეისწავლოს საქართველოს ისტორიის მატერიალური და გონებრივი კულტურის ყველა ძეგლი.

4. აღნიშნული მიზნების განსახორციელებლად ინსტიტუტი:

ა) მოაწყობს საკვლევო ინსტიტუტებს, ლაბორატორიებს და თავის მუშაობას წარმართავს სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკული მიზნების განსახორციელებლად;

ბ) ხელმძღვანელობას გაუწევს ყველა დარგის სამეცნიერო კადრების მომზადებას;

გ) შეიმუშავებს ასპირანტების მუშაობის ერთიან გეგმას და მოაწყობს მათ იდეოლოგიურ მომზადებას ცენტრალიზებულად;

დ) გამოსცემს სამეცნიერო ხასიათის როგორც პერიოდულ, ისე ერთდროულ ლიტერატურას;

ე) მოიწვევს, საჭიროებისამებრ, თათბირებს, კონფერენციებს, ყრილობებს, მოაწყობს საჯარო სამეცნიერო კრებებს, დისპუტებს და სხვ., მონაწილეობას მიიღებს ასეთსავე კონფერენციებში სსრ კავშირში და საზღვარგარეთ;

ვ) დახმარებას გაუწევს სხვადასხვა დაწესებულებათა მუშაობას მეცნიერული კონსულტაციით, მეცნიერული ძალების მიწოდებით და სხვ.;

ზ) დაიჭერს მჭიდრო კავშირს სრულიად საკავშირო კომუნისტურ აკადემიასთან და ყველა ამგვარ სამეცნიერო დაწესებულებასთან.

ინსტიტუტის შედგენილობა.

5. ინსტიტუტი შესდგება ნამდვილი და საპატიო წევრებისაგან; მას ჰყავს აგრეთვე სამეცნიერო თანამშრომელნი.

6. ნამდვილ წევრად შეიძლება იყოს სსრ კავშირის ყველა მოქალაქე, რომელიც იზიარებს ორტოდოქსალურ მარქსისტულ-ლენინურ იდეოლოგიას და აქვს თვალსაჩინი მარქსისტულ-ლენინური ნაშრომები, ან ისეთი, რომელსაც მიუძღვის თვალსაჩინო ღვაწლი სოციალისტური მშენებლობისა და მარქსისტულ-ლენინისტურ მსოფლმხედველობის პროპაგანდის სფეროში.

7. ინსტიტუტი შესდგება შემდეგი სექციებისაგან:

ა) მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის სექცია;

ბ) ეკონომიურ მეცნიერებათა სექცია;

გ) ბუნებათ მეცნიერების სექცია;

დ) ტეხნიკისა და ბუნებრივ საწარმოო ძალთა შესწავლის სექცია;

ე) ისტორიულ მეცნიერებათა სექცია;

ვ) ლიტერატურისა და ხელოვნების სექცია;

ზ) მატერიალური და სიტყვიერი კულტურის სექცია;

თ) საბჭოთა მშენებლობისა და სამართლის სექცია;

ი) მარქსისტული პედოლოგიისა და პედაგოგიკის სექცია.

8. ნამდვილი წევრების რიცხვი განსაზღვრული არ არის. მათ კანდიდატურას ასახელებს სათანადო სექცია; დასახელებულ კანდიდატს ინსტიტუტის პრეზიდიუმი ასარჩევად წარუდგენს ნამდვილ წევრთა საერთო კრებას. კანდიდა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტი არჩეულად ითვლება იმ შემთხვევაში, უკეთუ მან არჩევნების დროს ხმის უმეტესობა მიიღო.

შენიშვნა. ნამდვილ წევრთა პირვანდელ შედგენილობას განსაზღვრავს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი.

9. საპატიო წევრად შეიძლება არჩეულ იქნეს როგორც სსრ კავშირისა, ისე უცხოეთის მოქალაქე, რომელიც მე-6 მუხლში ჩამოთვლილ პირობებს შეეფერება და რომელსაც ინსტიტუტის უშუალო მუშაობაში მონაწილეობის მიღება არ შეუძლიან, მაგრამ თავისი მუშაობით სასარგებლოა ინსტიტუტის მიერ დასახული მიზნების განხორციელებისათვის.

საპატიო წევრის არჩევნების წესი ისეთივეა, როგორიც ნამდვილი წევრებისა.

10. ინსტიტუტის შედგენილობაში შედიან აგრეთვე სამეცნიერო თანამშრომლები; მათ, საჭიროებისამებრ, იწვევენ სექციები და ამტკიცებს ინსტიტუტის პრეზიდიუმი.

11. ინსტიტუტის სექციებს ჰყავს ასპირანტები, რომელთა მიწვევა და მუშაობის წესი გათვალისწინებულია ცალკე დებულებით ასპირანტების შესახებ.

12. უკეთუ ინსტიტუტის რომელიმე წევრის მოღვაწეობა არ შეეფერება ინსტიტუტის მიზნებს, პრეზიდიუმის წარდგენით, საერთო კრება მას ანთავისუფლებს ინსტიტუტის წევრობისაგან.

ინსტიტუტის სტრუქტურა.

13. ინსტიტუტი თავის მიმდინარე მუშაობას ანხორციელებს სექციების მეშვეობით. სექციების რაოდენობა განსაზღვრულია ამ დებულებით, ხოლო ინსტიტუტის განვითარებასთან და მისი მუშაობის გაფართოებასთან დაკავშირებით, შეიძლება სექციების რიცხვის გამრავლება, რის პროექტს თვითეულ ცალკე შემთხვევაში ინსტიტუტის პრეზიდიუმი დასამტკიცებლად წარუდგენს სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს.

ინსტიტუტის გამგეობა.

14. ინსტიტუტის წევრთა საერთო კრებას იწვევს ინსტიტუტის პრეზიდიუმი, ხოლო სექციების კრებებს იწვევენ სექციების გამგეები გამგეობასთან შეთანხმებით. საერთო კრება მოიწვევა ოთხ თვეში ერთხელ, სექციების კრებები-კი—თვეში ერთხელ; საზეიმო კრება მოიწვევა წელიწადში ერთხელ.

შენიშვნა 1. კრებაზე ყველა საკითხი გადაწყდება ხმის მარტივი უმეტესობით.

შენიშვნა 2. განსაკუთრებულ შემთხვევაში გამგეობა მოიწვევს საგანგებო კრებას.

შენიშვნა 3. სამეცნიერო ხასიათის კრება სწარმოებს კარღიად.

მუნიციპალური ბიბლიოთეკა

15. ინსტიტუტის გამგეობა შესდგება: დირექტორისა და ორი მისი მოადგილისაგან, გამგეობის ოთხი წევრისაგან, კომპარტ. (ბ) ცენ. კომიტეტის ერთი წარმომადგენლისაგან, საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს ერთი წარმომადგენლისაგან, ასპირანტურის ერთი წარმომადგენლისაგან და ინსტიტუტის სწავლული მდივნისაგან. ინსტიტუტის გამგეობას უფლება აქვს თავის სხდომაზე მიიწვიოს სექციების გამგეები სათათბირო ხმის უფლებით.

16. ინსტიტუტის გამგეობას ირჩევს ნამდვილ წევრთა საერთო კრება სამი წლის ვადით და ამტკიცებს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი.

17. ინსტიტუტის დირექტორი მთავარი ხელმძღვანელია ინსტიტუტისა და პასუხისმგებელია მთელი მისი მუშაობისათვის. მისი არყოფნის ან ავადმყოფობის დროს ყველა მის მოვალეობას ასრულებს მისი ერთ-ერთი მოადგილე.

18. დირექტორის მოადგილეები თავიანთ შორის ინაწილებენ როგორც სამეცნიერო, ისე სამეცნიერო-საადმინისტრაციო მუშაობის ხელმძღვანელობას.

19. ინსტიტუტის სწავლული მდივანი განაგებს ინსტიტუტის მთელი სამეცნიერო ნაწილის მუშაობას, ადგენს ასპირანტების სამუშაო გეგმებს და განაგებს საგამომცემლო ნაწილს. იგივე აწარმოებს სამეცნიერო ხასიათის მიწერ-მოწერას დაწესებულებებთან და კერძო პირებთან, კითხულობს ინსტიტუტის საზეიმო სხდომაზე წლიურ ანგარიშს და ეწევა მდივნობას ინსტიტუტის საერთო კრებებზე და გამგეობის სხდომებზე.

20. ინსტიტუტის კრედიტები გამგეობის განკარგულებაშია.

21. სექციების გამგეებს ირჩევს სექციების წევრთა საერთო კრება და ამტკიცებს ინსტიტუტის გამგეობა.

ინსტიტუტის საქმეთა მმართველობა.

22. ინსტიტუტის საადმინისტრაციო-სამეურნეო საქმეებსა და კანცელარიას განაგებს საქმეთა მმართველი; იგივე განაგებს ინსტიტუტის კრედიტებს გამგეობის უშუალო ხელმძღვანელობით. საქმეთა მმართველს დანიშნავს გამგეობა. ბუხჰლტერს, მოლარეს და სხვა ტეხნიკურ თანამშრომელს დანიშნავს საქმეთა მმართველი.

ინსტიტუტის სახსარი.

23. ინსტიტუტის სახსარს შეადგენს: ა) სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხები; ბ) სპეციალური თანხები.

24. ინსტიტუტის ხარჯთაღრიცხვას ამტკიცებს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი. კრედიტები იხსნება ინსტიტუტის სახელზე.

ინსტიტუტის განსაკუთრებული უფლებანი.

25. ინსტიტუტს უფლება აქვს უსასყიდლოდ გაგზავნოს და მიიღოს სსრ კავშირის საზღვრებში ყოველგვარი საფოსტო გზავნილი წონით 20 კილოგრამამდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

26. ინსტიტუტის მიერ საზღვარგარეთ შეძენილი წიგნები და სამეცნიერო ინსტრუმენტები და ხელსაწყოები განთავისუფლებულია საბაჟო გადასახადისაგან. ინსტიტუტს უფასოდ ეგზავნება სსრ კავშირში გამოსული თითო ცალი ყველა წიგნი.

27. ინსტიტუტს აქვს საკუთარი ბეჭედი საქართველოს სსრ სახელმწიფო ღერბითა და თავისი სახელწოდების წარწერით.

---

147. დადგენილება ს.კ.ს.

თესვისა და მოსავლის აკრეფის დროს მედპერსონალის ქალაქებიდან საბჭოთა მეურნეობებისა, სამანქანო სადგურებისა და კოლმეურნეობების რაიონებში დროებით გაგზავნის შესახებ.

რადგანაც თესვისა და მოსავლის აკრეფის კამპანიებს უაღრესად დიდი სამეურნეო-პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს ხუთწლედის მესამე წლის წინაშე მდგარი ამოცანების შესრულების საქმეში და რათა მეტი სისრულით უზრუნველყოფილ იქნეს ხსენებული კამპანიები უპირველესად საბჭოთა მეურნეობებში, სამანქანო-სატრაქტორო სადგურებში და კოლმეურნეობებში საკმაო სამკურნალო სასანიტარო დახმარებით, აგრეთვე ვინაიდგან სოფლად ჯანმრთელობის დაწესებულებები განიცდიან საექიმო კადრების ნაკლებობას, საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ნება დაერთოს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს, შრომის სახალხო კომისარიატთან და მედსანშრომის კავშირთან შეთანხმებით, გზავნოს ხოლმე თესვის და მოსავლის აკრეფის პერიოდში დროებით, ხოლო არა უხანგრძლივეს ვიდრე 4 თვის განმავლობაში, ქალაქებიდან საბჭოთა მეურნეობებისა, სამანქანო-სატრაქტორო სადგურებისა და კოლმეურნეობების რაიონებში (საქართველოს სსრ ფარგლებში) ექიმები, კბილის ექიმები, ფარმაცევტები და საშუალო მედპერსონალი. ამასთანავე მედპერსონალის ქალაქებიდან გაგზავნამ არ უნდა გააუარესოს სამრეწველო მუშების სამკურნალო დახმარების საქმე.

2. პირველ მუხლში აღნიშნული ვადის გასვლისას მივლინებულნი აუცილებლად დაბრუნებულ უნდა იქნენ თავიანთ მუდმივ სამსახურის ადგილზე.

3. სამუშაო ხელფასი და მივლინებასთან დაკავშირებული სხვა ხარჯი გაცემულ უნდა იქნეს თანახმად სსრკ-ის შრომის სახალხო კომისარიატის 1930 წ. ივლისის 23-ის თარიღისა და 245 №-ის დადგენილებისა „მასიური კამპანიების ჩასატარებლად მივლინებულთათვის სამუშაო ხელფასისა, დღიური სარგოს, საგზაო ფულისა და ბინის ქირის მიცემის წესის შესახებ“ (სსრკ-ის შრომის სახალხო კომისარიატის „იზვესტიას“ 1930 წ. 22 №-ი).

4. აფხაზეთის და აჭარისტანის ავტონომიურ სოც. საბჭ. რესპუბლიკებში და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში თესვისა და მოსავლის აკრეფის დროს საექიმო პერსონალს საბჭოთა მეურნეობებისა, სამანქანო-სატრაქტორო სადგურებისა და კოლმეურნეობების რაიონებში დროებით გზავნიან ამ ავტონომიური

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესპუბლიკებისა და ოლქის ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატები—შრომის სახალხო კომისარიატისა და მედსანშრომის კავშირის სათანადო ორგანოებთან შეთანხმებით, თანახმად ხსენებული ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების სათანადო დადგენილებისა.

საქ. სსრ. ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ლ. სუხიშვილი.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ვ. მესხი.**

1931 წ. მაისის 22.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 119 №-ში 1931 წ. მაისის 26.

სასამართლო წყობილება და სამართლის წარმოება

148. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

ახალ ადმინისტრატიულ-ტერიტორიალურ დარაიონებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სახელმწიფო პროკურატურის დებულების შეცვლის შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ახალ ადმინისტრატიულ-ტერიტორიალურ დარაიონებასთან დაკავშირებით სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

საქართველოს სსრ სახელმწიფო პროკურატურის დებულებაში (კან. კრ. 1930 წლ. მე-9 №-ი, მუხ. 72; 13 №-ი, მუხ. 199 და 16 №-ი, მუხ. 253) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებანი:

1) დებულების მე-6 და მე-7 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„6. სახელმწიფო პროკურატურის ორგანოები ადგილობრივ არიან სარაიონო პროკურორები. სარაიონო პროკურორი მოქმედობს ერთ ან რამოდენიმე მოსაზღვრე ადმინისტრატიულ-ტერიტორიალური რაიონის ფარგლებში არსებული წესისამებრ დამტკიცებული შტატების მიხედვით".

„7. სარაიონო პროკურორები უშუალოდ ემორჩილებიან რესპუბლიკის პროკურორს; სარაიონო პროკურორებს თანამდებობაზე დანიშნავს, ერთი ადგილიდან მეორე ადგილას გადაიყვანს და თანამდებობიდან დაითხოვს რესპუბლიკის-პროკურორი".

2) მე-13 მუხლში სიტყვები: „საოლქო პროკურორს დაეკისრება" შეიცვალოს სიტყვებით: „სარაიონო პროკურორს დაეკისრება".

ეროვნული ბიბლიოთეკა

3) მე-14 და მე-17 მუხლში სიტყვები: „საოლქო პროკურორი“ და „საოლქო პროკურორს“ შეიცვალოს სიტყვებით: „სარაიონო პროკურორი“ და „სარაიონო პროკურორს“.

დებულების მე-3 და მე-8 მუხლები ამოიშალოს.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ. ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ლ. სუხიშვილი.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **ს. თოდრია.**

1931 წ. მაისის 13.
ტფილისი.

შეცდომის გასწორება

კანონთა კრებულის მე-9 ნომერში (მუხ. 92):

	დაბეჭდილია:	**უნდა იყოს:**
გვ. 199		
სტრ. 9 ქვეიდან	აღმასრულებელ	ცენტალურ აღმასრულებელ
სტრ. 3 ქვეიდან	შემოსავალი და გასავალი	სახელმწიფო შემოსავალი და გასავალი.
გვ. 200		
სტრ. 10 ზევიდან	„გ“ პუნქტში	„ბ“ პუნქტში

მთავლიტი 1196. სახკომსაბჭოს საქმეთა მმართვ. სტამბა. ტირაჟი 950.